

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად რექტორის 2023 წლის 30 მაისის ბრძანების N:: 118/01-01 საფუძველზე ქიმიის დეპარტამენტის - ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის კათედრაზე ასოცირებული პროფესორი – 2 საშტატო ერთეული (კატეგორია „ბ“) და ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრაზე ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული (კატეგორია „ა“) და ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული (კატეგორია „ბ“) გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 ივნისის №56/2023 დადგენილების მე-8 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

### შემაჯამებელი სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

3 აგვისტო 2023 წელი

თსუ II კორპუსი ოთახი 156

**სხდომას ესწრებოდნენ:** კომისიის შემაჯამებელ სხდომას ესწრებოდა კომისიის სრული შემადგენლობა:

1. **იოსებ ჩიკვაძე** - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. **მაია რუსია** - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. **მაია ცინცაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი;
4. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი.
5. **ნელი სიღამონიძე** - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (მდივანი);

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტი, კათედრა - ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის ასოცირებული პროფესორის 2 ვაკანსიაზე (კატეგორია „ბ“) გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრის ჩატარება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

**მოისმინეს:** კომისიის თავმჯდომარის პროფესორ **იოსებ ჩიკვაძის** ინფორმაცია კომისიის მიერ კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ.

მან აღნიშნა, რომ თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 ივნისის N 56/2023 დადგენილების საფუძველზე შექმნილ საკონკურსო კომისიას საბუთები გადაეცა დალუქულ მდგომარეობაში. საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეული არ იყო. საკონკურსო დოკუმენტაცია გაიხსნა კომისიის მიერ და კომისია შეუდგა მუშაობას.

ქიმიის დეპარტამენტის **ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის კათედრაზე ასოცირებული პროფესორი – 2 ვაკანსიაზე (კატეგორია „ბ“)** განცხადება შემოიტანა ოთხმა კანდიდატმა

1. მარინა გახუტიშვილი
2. მზია კეჭერაშვილი
3. თეა ლობჯანიძე
4. ლალი ტურიაშვილი

კონკურსანტების შეფასება მოხდა ორ ეტაპად. შეფასების **პირველ ეტაპზე** შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია, შეფასდა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი კონკურსანტის ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დანართი N 4, დადგენილება N45/2017, 01.05.2017).

**ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის კათედრის კონკურსანტების შეფასება**

1. მარინა გახუტიშვილი /ასოცირებული პროფესორი, კატეგორია „ბ“/

**შეფასების I კატეგორიაში** (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან). კონკურსანტის **მარინა გახუტიშვილის** განათლება/კვალიფიკაცია - ქიმიკოსი, ქიმიის მასწავლებელი (1984-1990 წწ); სამეცნიერო ხარისხი - ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი (2002); სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი /10 წელი/ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.



შესაბამისად კონკურსანტმა **I კატეგორიის** („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) მიხედვით მიიღო შეფასება „**კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს**“

**შეფასების II კატეგორიაში** (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მოცემული მონაცემების საფუძველზე: სახელმძღვანელო - 1; წაკითხული კურსები ბოლო 6 წლის განმავლობაში - 8 - მიწვეული პედაგოგი (სან დიეგოს უნივერსიტეტი, **ევროპის უნივერსიტეტი**, **ლომის უნივერსიტეტი**, პოლონეთი, „SDSU Flexible Course Design Summer Institute“-Summer Training for Virtual Course Development ვირტუალური/ონლაინკურსი, განვითარება; **თსუ-ში ლექცია არ ჰქონია**; კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები (5); თსუ-ში შეუძლია წაკითხოს 4 საგანი; წარმოდგენილი 7 სილაბუსიდან თსუ-ში იკითხება მხოლოდ 3, მითითებული აქვს სან დიეგოში მაგისტრატურის საგნები - მაგრამ, **მაგისტრატურა სან დიეგოს უნივერსიტეტში არ არის**: კომისიის მიერ კონკურსანტი **II კატეგორიაში** შეფასდა კრიტერიუმით „**საშუალო**“;

**შეფასების III კატეგორიაში** (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე: პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში (4); მოხსენებები ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში (7+14); საგრანტო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის მანძილზე (6)-(ეს არის არაქიმიური, მოკლევადიანი გრანტები, ქიმიის პოპულარიზაცია სკოლებში - ძირითადად მივლინებებია), ციტირების ინდექსი - 46, h-1; თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (სან დიეგოს უნივერსიტეტი. აშშ, პოლონეთი - ბიდგოზის მეცნიერების და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, ტექნოლოგიების უნივერსიტეტი. პოზნანი, პოლონეთი); კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სამოტივაციო წერილი ნაწილობრივ შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

ასევე, კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კომისიის მიერ შეფასდა, როგორც დარგთან შესაბამისობაში მყოფი სამეცნიერო ღირებულების მქონე ნაშრომი.

**III კატეგორიაში** კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით „**საშუალო**“.

**შეფასების IV საფეხურზე** („ბოლო 6 წელიწადში სხვა სახის აქტივობა“ და „დამატებითი ინფორმაცია“). **სამაგისტრო ნაშრომების (5) ხელმძღვანელი**;

**ხელსაწყოზე მუშაობის გამოცდილება**: რენდგენოსტრუქტურული ანალიზატორი დიფრაქტომეტრი Rigaku Rapid- 2 X-ray diffractometer Mo-Ka (0.71 A); სპექტრომეტრი Raman spectrophotometer Laser wavelength 532 nm Detector CCD; „Magnetic susceptibility“ მაგნიტური მგრძნობელობის სასწორი. კომპრესორ-მლღობი, კომპრესორ-მდნობი მანქანა compression molding machine, injection molding machine; ტრიბომეტრი pin-on-disk tribometer; თერმოგრაფიმეტრული ანალიზატორი (TGA); ელექტრონული მიკრისკოპი TEM, SEM, ALM; DLS, და სხვა.

**დამატებითი ინფორმაცია**: Education for Sustainable Development – Alumni project. 2020.



ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს, საოფისე პროგრამებს.

შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

## 2. მზია კეჭერაშვილი /ასოცირებული პროფესორი, კატეგორია „ბ“/

შეფასების I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან). კონკურსანტის მზია კეჭერაშვილის განათლება/კვალიფიკაცია - ქიმიკოსი, ქიმიის მასწავლებელი (1984-1989 წწ); სამეცნიერო ხარისხი - ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი (1999); სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი /15 წელი/ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით **კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს - „მაღალი“;**

შეფასების II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მოცემული მონაცემების საფუძველზე: 27 წლის პედაგოგიური სტაჟი; სახელმძღვანელო - 2, მონოგრაფია - 1, სალექციო კურსი - 4; წაკითხული კურსები ბოლო 6 წლის განმავლობაში - 2 (მოწვეული პედაგოგი); კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები (5); შეთავსებითი მუშაობა - სტუ-ის მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (0,5 საშტატო ერთეული); შეუძლია 10 საგნის წაკითხვა; წარმოდგენილი აქვს სილაბუსები.

კომისიის მიერ კონკურსანტი II კატეგორიაში შეფასდა კრიტერიუმით **„მაღალი“;**

შეფასების III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე: პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში (6); პატენტები (3); მოხსენებები ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში (4+1)); სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (მონოგრაფია, რეცენზირებად საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში - 16; ციტირების ინდექსი - Scopus index - 4, h 2, g 1. ციტირების ინდექსი Web of Science -3, h 1. ციტირების ინდექსი Google scholar - 9, h 2; თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან - 2; კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სამოტივაციო წერილი სრულად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს, კარგად ასახავს პრეტენდენტის პოტენციალს და სამომავლო მოღვაწეობის მიზნებს.

კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილია ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კომისიის მიერ შეფასდა, როგორც დარგთან შესაბამისობაში მყოფი მაღალი სამეცნიერო ღირებულების მქონე ნაშრომი.

კონკურსანტი III კატეგორიაში შეფასდა კრიტერიუმით **„მაღალი“.**



შეფასების IV საფეხურზე („ბოლო 6 წელიწადში სხვა სახის აქტივობა“ და „დამატებითი ინფორმაცია“). ისეთი აქტივობების საფუძველზე, როგორც არის სტუდენტების ხელმძღვანელობა - 2012 წლამდე 12 საბაკალავრო და 7 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი; მონაწილეობა აქვს მიღებული: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული სამეცნიერო-შემეცნებითი ღონისძიება „საზღვაო ქვეყნის ლურჯი პოლიტიკა“ (ახალგაზრდა თაობის დაინტერესება მეცნიერებით); **2022 წელი, 5 ივლისი, ბათუმი.**

„ინოვაციებისა და მეცნიერების საერთაშორისო ფესტივალი“ განხორციელდა ღვინისა და წყლის მიკროფილტრაციული მემბრანული დანადგარის აგება. **2017 წელი, 25 სექტემბერი, თსუ I კორპუსი**

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს, საოფისე პროგრამებს.

შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

### **3. თეა ლობჯანიძე /ასოცირებული პროფესორი, კატეგორია „ბ“/**

შეფასების I კატეგორია („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) კონკურსანტის თეა ლობჯანიძის განათლება/კვალიფიკაცია - ქიმია (1996-2000 წწ); მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრა); სამეცნიერო ხარისხი - ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი (2004); სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი /18 წელი/ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შესაბამისად კონკურსანტმა I კატეგორიის („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“). კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის მიმართულების მეტალორგანული და გამოყენებითი ქიმიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გამგე /2007-დან დღემდე/, ამავე კათედრის მოწვეული პედაგოგი /2005 წლიდან დღემდე/. მის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები /7/ და წაკითხული სალექციო კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი სრულ შესაბამისობაშია თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებთან /მის მიერ წარმოდგენილია როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურაში წასაკითხი საგნების სილაბუსები-10/.

კომისიის გადაწყვეტილებით II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა თეა ლობჯანიძემ მიიღო შეფასება „მაღალი



**შეფასება III კატეგორია** /სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა/. წარმოდგენილი მონაცემები: კონკურსანტს აქვს პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში (8); მოხსენებები ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში (23+1); საგრანტო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის მანძილზე (3); ციტირების ინდექსი-19 (Scopus), h-3, ციტირების ინდექსი - 60, (google Scholar), h 6; თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური, არაორგანული ქიმიის ინსტიტუტი, კარსრუე, გერმანია); კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონცეფცია სრულად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს, კარგად ასახავს პრეტენდენტის პოტენციალს და სამომავლო მოღვაწეობის მიზნებს. კონკურსანტი ყურადღებას ამახვილებს კვლევისა და სწავლების ინტეგრირების გადრმავეების აუცილებლობაზე.

ასევე, კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი, კომისიის მიერ შეფასდა როგორც დარგთან შესაბამისობაში მყოფი მაღალი სამეცნიერო ღირებულების მქონე ნაშრომი.

კონკურსანტის შეფასება **III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით** /სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა/ არის „**მაღალი**“.

**IV კატეგორია** (ბოლო 6 წელიწადში „სხვა სახის აქტივობა“ და დამატებითი ინფორმაცია).

იყო 6 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი; კონფერენციის International Online Conference “Compounds and Materials with Specific Properties”. <http://oc-2020.tsu.ge> სამდივნოს ხელმძღვანელი; Organizing Committee IMS-2018 **Secretariat-Tea Lobzhanidze** – Leader, International Mini-Symposium “BIOACTIVE COMPOUNDS, ANTIMICROBIAL AND BIOMEDICAL PRODUCTS & MATERIALS FOR PROTECTION OF HUMAN AND ENVIRONMENT”, May 4-5, 2018, Tbilisi, Georgia. ISBN: 978-9941-13-699-3; **Scientific and Program Committee. Dr. T. Lobzhanidze** Iv. Javakhishvili Tbilisi State University Georgia, American Chemical Society SDSU-G Student Chapter **Chemical Society of Georgia, Association of Professional Chemists of Georgia**. International conference of Students and Young Scientist “Chemistry Today and in Future” September 1 8-19, 2018, Tbilisi, Georgia. **ICSYS-2018**.

**ფლობს** რუსულ, ინგლისურ და შვედურ ენებს, საოფისე პროგრამებს.

**შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“**

#### **4. ლალი ტურიაშვილი /ასოცირებული პროფესორი, კატეგორია „ბ“/.**

**შეფასების I კატეგორია** („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) კონკურსანტის **ლალი ტურიაშვილის** განათლება/კვალიფიკაცია - ქიმიკოსი, ქიმიის მასწავლებელი (1984-1990 წწ); სამეცნიერო ხარისხი - ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი (2005 წ); სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი /10 წელი 2013-



2023 წ./; წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შესაბამისად კონკურსანტმა **I კატეგორიის** („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) მიხედვით მიიღო შეფასება „**კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს**“

**შეფასების II კატეგორიაში** (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მოცემული მონაცემების საფუძველზე: სახელმძღვანელო - 1 (ლაბორატორიული პრაქტიკუმი ზოგად და არაორგანული ქიმიაში) 2017 წელი; 2. (X და XI კლასის მოსწავლის წიგნი და მასწავლებლის წიგნი, 2023); კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები- **არ აქვს**; თსუ-ში შეუძლია წაიკითხოს 4 საგანი; წარმოდგენილი აქვს 4 სილაბუსი; 2010 წლიდან შეთავსებით მუშაობს სსიპ თბილისის 35-ე სკოლაში ქიმიის წამყვანი პედაგოგი; წარმოდგენილი აქვს 4 სილაბუსი, რომელთა შინაარსი და ფორმა შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს; კომისიის გადაწყვეტილებით **II კატეგორიის** მიხედვით კონკურსანტმა **ლალი ტურიაშვილმა** მიიღო შეფასება „**საშუალო**“.

**შეფასების III კატეგორიაში** (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე: პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში (2); მოხსენებები ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში (3); საგრანტო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის მანძილზე - **არ აქვს**; ციტირების ინდექსი - **არ აქვს**; თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან - **არ აქვს**; წარმოდგენილი აქვს 4 სილაბუსი. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სამოტივაციო წერილი შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

ასევე, კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კომისიის მიერ შეფასდა, როგორც დარგთან შესაბამისობაში მყოფი სამეცნიერო ღირებულების მქონე ნაშრომი, კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით „**საშუალო**“.

**შეფასების IV საფეხურზე** (სხვა სახის აქტივობა) ისეთი აქტივობების საფუძველზე, როგორც არის სტუდენტების ხელმძღვანელობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელი (**არ უწერია რამდენი**); საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა - **არ აქვს**. საბავშვო უნივერსიტეტის ლექტორი - პედაგოგი; ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სკოლასა და უნივერსიტეტს შორის; საქართველოს ქიმიკოსთა საზოგადოების ერთ-ერთი მიმართულების, სწავლების მეთოდები და მეთოდოლოგიები, კოორდინატორი.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს. საოფისე პროგრამებს

შეფასება **IV კატეგორიის** ორივე ნაწილის მიხედვით არის „**საშუალო**“

**ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრაზე ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსიაზე (კატეგორია „ა“) განცხადება შემოიტანა ერთმა კანდიდატმა**



## 1. მარინა ტრაპაიძე

ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის კონკურსანტის მარინა ტრაპაიძის შეფასება /ასოცირებული პროფესორი, კატეგორია „ა“/.

**შეფასების I კატეგორია** („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) კონკურსანტის მარინა ტრაპაიძის განათლება/კვალიფიკაცია - ქიმიკოსი (1968-1973 წწ); სამეცნიერო ხარისხი - ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (2006 წ); სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი /17 წელი/ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შესაბამისად კონკურსანტმა I კატეგორიის („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) მიხედვით მიიღო შეფასება „**კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს**“

**შეფასების II კატეგორიაში** (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მოცემული მონაცემების საფუძველზე: სახელმძღვანელო - 1; ელექტრონული ვერსია - 5. წაკითხული კურსები ბოლო 6 წლის განმავლობაში - 7; წარმოდგენილი სილაბუსების (5), შინაარსი სრულ შესაბამისობაშია თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებთან; გავლილი აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები.

კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით „**მაღალი**“;

**შეფასების III კატეგორიაში** (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე: პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში (12); სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (15); მოხსენებები ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში (5+5); საგრანტო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის მანძილზე (3); პატენტები - 3; ციტირების ინდექსი-89 (Scopus), h-5, ციტირების ინდექსი - 177, (google Scholar), h 7, g 10. Web of Science - 97, h 6; თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (DAAD - გერმანია, ზაარლანდი, გერმანიის საარბრიუკენის უნივერსიტეტი, აშშ ინფექციურ დაავადებათა სამხედრო-სამედიცინო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, კონტრაქტი აშშ-ის და ბრიტანეთის კიბოს ნაციონალურ ინსტიტუტებთან); კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სამოტივაციო წერილი სრულად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს, კარგად ასახავს პრეტენდენტის პოტენციალს და სამომავლო მოღვაწეობის მიზნებს.

კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კომისიის მიერ შეფასდა, როგორც დარგთან შესაბამისობაში მყოფი მაღალი სამეცნიერო ღირებულების მქონე ნაშრომი. კონკურსანტი III კატეგორიაში შეფასდა კრიტერიუმით „**მაღალი**“.



**შეფასების IV საფეხურზე** (სხვა სახის აქტივობა) ისეთი აქტივობების საფუძველზე, როგორც არის სტუდენტების ხელმძღვანელობა - სამაგისტრო ნაშრომების (6) ხელმძღვანელი; საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი; სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომების რეცენზირება; საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელი; "საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია" ლაურეატის დიპლომი და პეტრე მელიქიშვილის აკადემიური სახელობითი პრემია, სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომის თანახმდღვანელი;

ფლობს გერმანულ და რუსულ ენებს, საოფისე პროგრამებს.

კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით „მაღალი“.

**ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრაზე ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსიაზე (კატეგორია „ბ“) განცხადება შემოიტანა ორმა კანდიდატმა**

1. თინათინ ბუკია
2. ელენე კაცაძე

1. თინათინ ბუკიას შეფასება /ასოცირებული პროფესორი, კატეგორია „ბ“/.

**შეფასების I კატეგორია** („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) კონკურსანტის **თინათინ ბუკიას** განათლება/კვალიფიკაცია - ქიმიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი (2003-2005 წწ), ქიმიკოსის კვალიფიკაცია; სამეცნიერო ხარისხი - ქიმიის დოქტორის აკადემიური ხარისხი (2016 წ); სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი /8 წელი/ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შესაბამისად კონკურსანტმა **I კატეგორიის** („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) მიხედვით მიიღო შეფასება „**კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს**“

**შეფასების II კატეგორიაში** (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მოცემული მონაცემების საფუძველზე: სახელმძღვანელო - 1; ელექტრონული ვერსია - 5. წაკითხული კურსები ბოლო 6 წლის განმავლობაში - 4 (თსუ-ში 2 მოქმედი); წარმოდგენილი სილაბუსების (8) შინაარსი სრულ შესაბამისობაშია თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებთან; გავლილი აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები.

კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით „მაღალი“;

**შეფასების III კატეგორიაში** (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე: პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში (7) - ციტირება 18; სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (13) - ციტირება 18; მოხსენებები ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში (45+8); საგრანტო



პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის მანძილზე (6); პატენტები - 3; ციტირების ინდექსი Google Scholar-33, h 4; ციტირების ინდექსი Scopus-25, h 3; თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (3) - სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზაარლანდის უნივერსიტეტი, კარლსრუეს ტექნოლოგიების ინსტიტუტი. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სამოტივაციო წერილი სრულად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს, კარგად ასახავს პრეტენდენტის პოტენციალს და სამომავლო მოღვაწეობის მიზნებს.

კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი კომისიის მიერ შეფასდა, როგორც დარგთან შესაბამისობაში მყოფი მაღალი სამეცნიერო ღირებულების მქონე ნაშრომი.

კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით „**მაღალი**“.

**შეფასების IV** საფეხურზე (სხვა სახის აქტივობა) ისეთი აქტივობების საფუძველზე, როგორც არის სტუდენტების ხელმძღვანელობა: საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი (მარიამ აღნიაშვილი), მაგისტრატურის სტუდენტის სამეცნიერო თანახელმძღვანელი (თეკლა თევზაძე), 2 დოქტორანტის სამეცნიერო თანახელმძღვანელი (თამარ ტაბატაძე თსუ) და (თამთა მესხიშვილი სტუ); სან დიეგოს უნივერსიტეტში 40 ბაკალავრი სტუდენტის ხელმძღვანელი; **ჯილდო-ოქროს მედალი**; 8 წლიანი გამოცდილება კვლევით-სათვის საჭირო ინსტრუმენტებთან; ამერიკული ქიმიური საზოგადოების წევრი 2019-დან დღემდე;

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს, საოფისე პროგრამებს. კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით „**მაღალი**“.

## **2. ელენე კაცაძის შეფასება /ასოცირებული პროფესორი, კატეგორია „ბ“/.**

**შეფასების I კატეგორია** („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) კონკურსანტის **ელენე კაცაძის** განათლება/კვალიფიკაცია - ქიმიკოსი, ქიმიის მასწავლებელი(1994 წ), სამეცნიერო ხარისხი - ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი (2004 წ); სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი /17 წელი/ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად კონკურსანტმა **I კატეგორიის** („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) მიხედვით მიიღო შეფასება „**კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს**“

**შეფასების II** კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მოცემული მონაცემების საფუძველზე: სახელმძღვანელო - 1; ელექტრონული ვერსია - 3; კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები (3) წაკითხული კურსები ბოლო 6 წლის განმავლობაში - 9; წარმოდგენილი სილაბუსები (5), კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით „**მაღალი**“;

**შეფასების III** კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე: პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში (2); სხვა



მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (6); მოხსენებები ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში (5+5); საგრანტო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის მანძილზე (4); ციტირების ინდექსი-89 (Scopus), h-5, ციტირების ინდექსი - 3, (google Scholar), h 1; თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (3) - პოსტდოკი, ზაარლანდის უნივერსიტეტი; გერმანია. სამეცნიერო მივლინება-ზაარლანდის უნივერსიტეტი, გერმანია მოწვეული მასწავლებელი - Swiss American Academy. შვეიცარია); კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სამოტივაციო წერილი სრულად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს, კარგად ასახავს პრეტენდენტის პოტენციალს და სამომავლო მოღვაწეობის მიზნებს.

კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი კომისიის მიერ შეფასდა, როგორც დარგთან შესაბამისობაში მყოფი მაღალი სამეცნიერო ღირებულების მქონე ნაშრომი. კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით „მაღალი“.

**შეფასების IV** საფეხურზე (სხვა სახის აქტივობა) ისეთი აქტივობების საფუძველზე, როგორც არის სტუდენტების ხელმძღვანელობა - სამაგისტრო ნაშრომების (6) ხელმძღვანელი; ორი დოქტორანტის ხელმძღვანელი. 1996-2022 წლამდე - ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის მატერიალური პასუხისმგებელი პირი. 2022 წლიდან - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის მიმართულების სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენელი; მონაწილეობდა ქიმიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შედგენაში. კარგად ერკვევა დეპარტამენტში მოქმედი პროგრამების (4) დეტალებსა და სპეციფიკაში.

ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს, საოფისე პროგრამებს.

კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით „მაღალი“.

კომისიის აზრით კონკურსანტების გამოცდილება და საქმიანობა ხელს შეუწყობს სასწავლო და კვლევითი პოტენციალის გაძლიერებს. სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

კონკურსანტებს მიენიჭათ პრეტენდენტის სტატუსი და გადავიდნენ შეფასების **მეორე ეტაპზე**, გასაუბრებაზე

კონკურსანტმა თინათინ ბუკიამ, რომელიც იმყოფება გერმანიაში „Ristaveli-DAAD-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო პროექტით, მოითხოვა გასაუბრების ონლაინ რეჟიმში ჩატარება და დოკუმენტირება აუდიო ჩანაწერით.

კომისიის გადაწყვეტილებით გასაუბრება ყველა კონკურსანტთან ჩატარდა აუდიო-ვიდეო ჩაწერის რეჟიმში, რაშიც დაგვეხმარა თსუ-ს შესაბამისი სამსახურები (ეს ჩანაწერები CD-დისკების სახით ინახება საბუთებში).



გასაუბრება ჩატარდა პრეტენდენტთა სამეცნიერო პედაგოგიური საქმიანობის მოკლე მიმოხილვისა და კითხვა-პასუხის სახით .

## ინფორმაციის მოკლე მიმოხილვა

### 1. მოუსმინეს:

#### ქიმიის დეპარტამენტი

კათედრა – ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის კათედრა  
ასოცირებული პროფესორის 2 ვაკანსიაზე (კატეგორია „ბ“) მოწვეულ იყვნენ შემდეგი კანდიდატები:

#### 1. მარინა გახუტიშვილი

კანდიდატს გასაუბრებისას დაესვა კითხვები და შეფასდა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან. რაც შეეხება სილაბუსებს, წარმოდგენილი წასაკითხი კურსების ნუსხაში ზოგიერთი კურსი მითითებული აქვს როგორც საბაკალავრო პროგრამის კურსი, იგივე კურსი, იგივე სილაბუსით, გასაოცარია, მაგრამ უწერია მაგისტრატურაში წასაკითხ კურსად, რაც ყოვლად დაუშვებელია ერთი სილაბუსით და სახელწოდებით არ შეიძლება არსებობდეს საბაკალავრო და სამაგისტრო კურსები. ინგლისურენოვან პროგრამაში მითითებული აქვს მაგისტრატურაში წასაკითხი საგნები, მაშინ, როდესაც მაგისტრატურა ინგლისურენოვან პროგრამას არა აქვს. ასევე არასწორია ციტირების ინდექსის მონაცემი (გაურკვეველია). III კატეგორიის 3.5-ში კონფერენციის მონაცემებში მე-6 და მე-8, მე-9 და მე-10 სათაურები ემთხვევა ერთმანეთს, კონკურსანტმა, ისაუბრა წინა წლებში ჩატარებულ სამეცნიერო/კვლევით სამუშაოებზე, მაგრამ ეს არ იყო დამოუკიდებლად, მისი თემატიკა, ასევე არ გამოიკვეთა თემატიკა, რომელზეც აპირებდა მომდევნო წლებში კვლევითი სამუშაოების ჩატარებას. კომისიის მიერ დასმულ ზოგიერთ შეკითხვაზე გასცა არადადამაჯერებელი პასუხი.

#### 2. მზია კეყერაშვილი

კანდიდატს გასაუბრებისას დაესვა კითხვები და დადებითად შეფასდა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან-ისაუბრა



როგორც წინა წლებში ჩატარებულ სამეცნიერო მიღწევებზე, ასევე გამოიკვეთა მის თემატიკაზე მომდევნო წლებში ექსპერიმენტული სამუშაოების გაგრძელება.

### **3. თეა ლობჯანიძე**

კანდიდატს გასაუბრებისას დაესვა კითხვები და დადებითად შეფასდა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან-ისაუბრა როგორც წინა წლებში ჩატარებულ სამეცნიერო მიღწევებზე, ასევე გამოიკვეთა მის თემატიკაზე მომდევნო წლებში ექსპერიმენტული სამუშაოების გაგრძელება.

### **4. ლალი ტურიაშვილი**

კანდიდატს გასაუბრებისას დაესვა კითხვები და შეფასდა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან. კონკურსანტის მონაცემები განსაკუთრებით II და III კატეგორიაში სხვა კონკურსანტებთან შედარებით საკმაოდ მწი-რია. მართალია, იგი კარგად ფლობს კონცეფციაში მოტანილ სამეცნიერო მიმართულების სპეციფიკას, ისაუბრა წინა წლებში ჩატარებულ სამეცნიერო კვლევებზე, მაგრამ არ გამოიკვეთა დამოუკიდებლად რა თემატიკაზე აპირებდა მომდევნო წლებში კვლევითი სამუშაოების გაგრძელებას. ნათლად ვერ წარმოაჩინა ჰქონდა თუ არა მოფიქრებული თემატიკა მომდევნო წლებში შესასრულებელი ექსპერიმენტული სამუშაოებისთვის. დამაჯერებლად პასუხობდა დასმულ შეკითხვებზე.

#### **ქიმიის დეპარტამენტი**

##### **კათედრა - ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრა**

ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანსიაზე (კატეგორია „ა“) და

ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანსიაზე (კატეგორია „ბ“)

მოწვეულ იყვნენ შემდეგ კანდიდატები:

#### **1. მარინა ტრაპაიძე (კატეგორია „ა“)**

კანდიდატს გასაუბრებისას დაესვა კითხვები და დადებითად შეფასდა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის



ცოდნა და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან - ისაუბრა როგორც წინა წლებში ჩატარებულ სამეცნიერო მიღწევებზე, ასევე გამოიკვეთა მის თემატიკაზე მომდევნო წლებში შესასრულებელი ექსპერიმენტული კვლევები.

## 2. თინათინ ბუკია (კატეგორია „ბ“)

კანდიდატს გასაუბრებისას დაესვა კითხვები და შეფასდა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან. მან აღნიშნა, რომ გააგრძელებს წინა წლებში დაწყებულ კვლევებს. არ გამოიკვეთა მომავალი კვლევების თემატიკა (2 დოქტორანტი, მაგისტრანტი და რამდენიმე ბაკალავრი).

## 3. ელენე კაცაძე (კატეგორია „ბ“)

კანდიდატს გასაუბრებისას დაესვა კითხვები და დადებითად შეფასდა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან - ისაუბრა როგორც წინა წლებში ჩატარებულ სამეცნიერო მიღწევებზე, ასევე გამოიკვეთა მის თემატიკაზე მომდევნო წლებში შესასრულებელი ექსპერიმენტული სამუშაოები. აქტიურად არის ჩართული სტუდენტთა სამეცნიერო კვლევებში (2 დოქტორანტი, ერთი მაგისტრანტი და რამდენიმე ბაკალავრი).

გასაუბრების შედეგების მიხედვით გამოიკვეთა, რომ პრეტენდენტები სამუშაო გამოცდილებით, ერუდიციით და პროფესიონალიზმით, პროფესიული უნარ-ჩვევებით, გადმოცემის უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით ღირსეული კანდიდატები არიან ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქიმიის დეპარტამენტის **ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის კათედრაზე და ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრაზე** ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად.

შეფასების პირელი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსში გამარჯვებულების გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა (აკადემიური საბჭოს მიერ №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის მიხედვით ფარული



კენჭისყრის გზით). კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის სრულმა შემადგენლობამ -5 წევრი.

**ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის კათედრის პროფესორის (კატეგორია „ბ“) თანამდებობაზე კენჭისყრის შედეგების მიხედვით**

**ხმები გადაანაწილდა შემდეგნაირად:**

1. მარინა გახუტიშვილი - მომხრე -0; წინააღმდეგი -5
2. მზია კეჟერაშვილი - მომხრე - 4; წინააღმდეგი - 1
3. თეა ლობჯანიძე - მომხრე -5; წინააღმდეგი - 0
4. ლალი ტურიაშვილი - მომხრე -1; წინააღმდეგი -4

**ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრა (კატეგორია „ა“)**

**ხმები გადაანაწილდა შემდეგნაირად:**

1. მარინა ტრაპაიძე - მომხრე -5; წინააღმდეგი - 0

**კათედრა - ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრა (კატეგორია „ბ“)**

1. ელენე კაცაძე - მომხრე - 4; წინააღმდეგი - 1
2. თინათინ ბუკია - მომხრე - 1; წინააღმდეგი - 4

კომისიამ მხარი დაუჭირა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქიმიის დეპარტამენტის **ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ბ“) თანამდებობაზე თეა ლობჯანიძის და მზია კეჟერაშვილის კანდიდატურების გამარჯვებულად გამოვლენას**

1. მზია კეჟერაშვილი (კატეგორია „ბ“)
2. თეა ლობჯანიძე (კატეგორია „ბ“)

საკონკურსო კომისიის მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია თსუ ქიმიის დეპარტამენტის **ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის კათედრის**



კარგად ფუნქციონირების და შემდგომი განვითარების მიზნებისათვის. გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად დაედო კონკურსანტების სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილება, მათი პროფესიული უნარები, პერსპექტიულობა:

1. **მზია კეჭერაშვილის** პედაგოგიური გამოცდილება - 27 წელი, მან გამოამყდა უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის და სხვა საკითხების ცოდნა, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო/სამეცნიერო საქმიანობასთან. გამოქვეყნებული აქვს 2 სახელმძღვანელო და ერთი მონოგრაფია. ამჟამად კითხულობს საბაკალავრო პროგრამის „ქიმია“ სალექციო კურსს - „ბიოარაორგანული ქიმია“. წარმოდგენილი აქვს 10 სასწავლო კურსის სილაბუსები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებთან, ქიმიის დეპარტამენტის სასწავლო პროგრამების სასწავლო კურსების თემატიკასთან და მოცულობასთან.

კონკურსანტის სამეცნიერო ინტერესები შეესაბამება კათედრის ტრადიციულ თემატიკას, მისი პუბლიკაციები იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში, პატენტები და ციტირების ინდექსები მეტყველებენ, რომ ავტორი არის პერსპექტიული და მაღალი დონის მკვლევარი. მონაწილეობდა საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, სამეცნიერო კონცეფციის და გასაუბრების შედეგების შეჯამების შედეგად კომისიამ ნათლად დაინახა კათედრის საგანმანათლებლო და სამეცნიერო განვითარების პერსპექტივა მ. კეჭერაშვილის მონაწილეობით.

2. **თეა ლობჯანიძის** პედაგოგიური გამოცდილება - 18 წელი. იგი 2007 წლიდან დღემდე არის ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის კათედრის მეტალორგანული და გამოყენებითი ქიმიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გამგე, ამავე კათედრის მოწვეული პედაგოგი 2005 წლიდან დღემდე. კარგად იცნობს უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემას და სხვა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო/სამეცნიერო საქმიანობასთან. გამოქვეყნებული აქვს 7 სახელმძღვანელო. ამჟამად კითხულობს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების „ქიმია“ სავალდებულო (3) და არჩევით (3) სალექციო კურსებს. წარმოდგენილი აქვს 10 სასწავლო კურსის სილაბუსები, რომლებიც ვაკანსიის პროფილის შესაბამისია - მათი შინაარსი სრულ შესაბამისობაშია თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებთან.

კონკურსანტის სამეცნიერო ინტერესები შეესაბამება კათედრის ტრადიციულ თემატიკას და მისი განვითარების ახალი მიმართულებაა. კონკურსანტის პუბლიკაციები იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში (8), მაღალი ციტირების ინდექსები, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან, მონაწილეობა საგრანტო პროექტებში (3 ბოლო 6



წლის განმავლობაში), მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში (24) მეტყველებენ, რომ ავტორი არის პერსპექტიული და მაღალი დონის მკვლევარი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, სამეცნიერო კონცეფციის და გასაუბრების შედეგების შეჯამების შედეგად კომისიამ ნათლად დაინახა კათედრის საგანმანათლებლო და სამეცნიერო განვითარების პერსპექტივა თ. ლობჯანიძის მონაწილეობით. კომისიამ აგრეთვე გაითვალისწინა კონკერსანტის პიროვნული თვისებები, უნარ-ჩვევები და გუნდური მუშაობის გამოცდილება.

კომისიამ მხარი დაუჭირა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქიმიის დეპარტამენტის **ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის** კათედრის ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანსიაზე (**კატეგორია „ა“**) თანამდებობაზე **მარინა ტრაპაიძის** კანდიდატურის გამარჯვებულად გამოვლენას და ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანსიაზე (**კატეგორია „ბ“**) თანამდებობაზე **ელენე კაცაძის** კანდიდატურის გამარჯვებულად გამოვლენას

#### 1. მარინა ტრაპაიძე (კატეგორია „ა“)

#### 2. ელენე კაცაძე (კატეგორია „ბ“)

საკონკურსო კომისიის მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია თსუ ქიმიის დეპარტამენტის ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის კარგად ფუნქციონირების და შემდგომი განვითარების მიზნებისათვის. გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად დაედო კონკურსანტების სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილება, მათი პროფესიული უნარები, პესპექტიულობა:

1. **მარინა ტრაპაიძის** პედაგოგიური გამოცდილება - 17 წელი. იგი 2006 წლიდან არის ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის ასისტენტ-პროფესორი, 2016 წლიდან დღემდე ასოცირებული პროფესორი. კარგად იცნობს უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემას და სხვა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო/სამეცნიერო საქმიანობასთან. გამოქვეყნებული აქვს 1 სახელმძღვანელო და 5 სალექციო კურსი (ელექტრონული). კითხულობდა და კითხულობს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების „ქიმია“ სავალდებულო და არჩევით სალექციო კურსებს (7). წარმოდგენილი აქვს 5 სასწავლო კურსის სილაბუსები, რომლებიც ვაკანსიის პროფილის შესაბამისია - მათი შინაარსი სრულ შესაბამისობაშია თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებთან, ქიმიის დეპარტამენტის სასწავლო პროგრამების სასწავლო კურსების თემატიკასთან და მოცულობასთან.



კონკურსანტის სამეცნიერო ინტერესები შეესაბამება ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის ტრადიციულ თემატიკას და მისი განვითარების აქტუალური მიმართულებაა. კონკურსანტის პუბლიკაციები იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში (12) და სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (15) მაღალი ციტირების ინდექსები, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან, მონაწილეობა საგრანტო პროექტებში (3 ბოლო 6 წლის განმავლობაში), პატენტები -3. ორი სადოქტორო დისერტაციის თანახემდგვანელობა, მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში (10) მეტყველებენ, რომ ავტორი არის მაღალი დონის გამოცდილი და პერსპექტიული მკვლევარი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, სამეცნიერო კონცეფციის და გასაუბრების შედეგების შეჯამების შედეგად კომისიამ ნათლად დაინახა კათედრის საგანმანათლებლო და სამეცნიერო განვითარების პერსპექტივა მ. ტრაპაიძის მონაწილეობით. კომისიამ აგრეთვე გაითვალისწინა კონკურსანტის პიროვნული თვისებები, უნარ-ჩვევები და გუნდური მუშაობის გამოცდილება.

2. **ელენე კაცაძის** პედაგოგიური გამოცდილება - 17 წელი. იგი 2016 წლიდან დღემდე არის ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის ასისტენტ-პროფესორი, 2005-2016 წწ იყო კათედრის ორგანული ქიმიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გამგე, 1996-2022 წლამდე - ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის მატერიალური პასუხისმგებელი პირი. იგი კარგად იცნობს უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემას და სხვა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო/სამეცნიერო საქმიანობასთან. გამოქვეყნებული აქვს 1 სახელმძღვანელო და 3 სალექციო კურსი (ელექტრონული). კითხულობდა და კითხულობს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების „ქიმია“ სავალდებულო და არჩევით სალექციო კურსებს (6). წარმოდგენილი აქვს 11 სასწავლო კურსი, სილაბუსები 5, რომლებიც ვაკანსიის პროფილის შესაბამისია - მათი შინაარსი სრულ შესაბამისობაშია თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებთან, ქიმიის დეპარტამენტის სასწავლო პროგრამების სასწავლო კურსების თემატიკასთან და მოცულობასთან. ამჟამად იგი არის დეპარტამენტში თსუ სასწავლო პროცესის ხარისხისმართვის სამსახურის წარმომადგენელი. მონაწილეობდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების „ქიმია“ შედგენაში. აქტიურად არის ჩართული სტუდენტთა სამეცნიერო კვლევებში - ხელმძღვანელობს 2 დოქტორანტს, ერთ სამაგისტროს და რამდენიმე ბაკალავრიატის სტუდენტს.

კონკურსანტის სამეცნიერო ინტერესები შეესაბამება ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის ტრადიციულ თემატიკას და მისი განვითარების აქტუალური მიმართულებაა.

კონკურსანტის პუბლიკაციები იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში (2) და სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (6), ციტირების ინდექსი, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (3), მონაწილეობა საგრანტო პროექტებში (4 ბოლო 6 წლის განმავლობაში),



ორი დოქტორანტის თანახელმძღვანელობა, მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში (10), გავლილი პოსტდოქტორანტურა გერმანიის ზაარლანდის უნივერსიტეტში, მეტყველებენ, რომ ავტორი არის მაღალი დონის გამოცდილი და პერსპექტიული მკვლევარი. იყო მიწვეული მასწავლებელი - Swiss American Academy. შვეიცარია

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, სამეცნიერო კონცეფციის და გასაუბრების შედეგების შეჯამების შედეგად კომისიამ ნათლად დაინახა კათედრის საგანმანათლებლო და სამეცნიერო განვითარების პერსპექტივა ე. კაცაძის მონაწილეობით. კომისიამ აგრეთვე გაითვალისწინა კონკრეტული პიროვნული თვისებები, უნარ-ჩვევები და გუნდური მუშაობის გამოცდილება.

### დაადგინეს:

1. ა) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის კათედრის ასოცირებული პროფესორის **(კატეგორია („ბ“))** თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო კომისიამ ერთხმად მიანიჭა **თეა ლობჯანიძეს და მზია კეყერაშვილს** გამარჯვებული კანდიდატის სტატუსი;  
ბ) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის **ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის** კათედრის ასოცირებული პროფესორის **(კატეგორია („ა“))** თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო კომისიამ ერთხმად მიანიჭა **მარინა ტრაპაიძეს** გამარჯვებული კანდიდატის სტატუსი;  
გ) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის **ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის** კათედრის ასოცირებული პროფესორის **(კატეგორია („ბ“))** თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო კომისიამ ერთხმად მიანიჭა **ელენე კაცაძეს** გამარჯვებული კანდიდატის სტატუსი;
2. საკონკურსო კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ N118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და დაადგინა, რომ



შემაჯამებელი ოქმი გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრები:

კომისიის თავმჯდომარე,  
პროფ.



/იოსებ ჩიკვაიძე/

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე  
ასოც.პროფ.




/მაია რუსია/

პროფესორი




/მაია ციხვაძე/

პროფესორი



/ელიზბარ ელიზბარაშვილი/

მდივანი, ასოც.პროფ.



/ნელი სიდამონიძე/